BGS
ST. GEORGE'S
GEORGIAN - BRITISH SCHOOL

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi

ოქტომბერი / October 2026

დირექტორის სვეტი



ოქტომბერი ბიჯიესისთვის განსაკუთრებული თვე იყო. 8 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთის ელჩის რეზიდენციაში გამართულ მიღებას დავესწარით, რომელიც საქართველოში Pearson Edexcel-ის საერთაშორისო კვალიფიკაციების ოფიციალურ დამტკიცებას მიეძღვნა. ეს მოვლენა ბიჯიესისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან საქართველოში Pearson Edexcel-ის პროგრამები პირველმა სწორედ ჩვენმა სკოლამ დანერგა.

თვე დატვირთული და შთამბეჭდავი აღმოჩნდა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის: აღვნიშნეთ მასწავლებელთა ეროვნული დღე; ჩვენს მოსწავლეებს კინგსის ოლიმპიადისა და მათემატიკის ლიგის ჯილდოები გადაეცათ; მეთერთმეტეკლასელებს ილია ჭავჭავაძის მუზეუმში გასვლითი გაკვეთილი ჩაუტარდათ; ვუმასპინძლეთ Les Roches-ს და კავკასიის უნივერსიტეტების წარმომადგენლებს; ჩვენმა ფეხბურთის გუნდმა ამხანაგურ მატჩში გაიმარჯვა, დაწყებით კლასებში კი სახლების საჭადრაკო ტურნირი გაიმართა. თვე ფერადი და მხიარული შემოდგომის მარათონით დასრულდა.

გილოცავთ ყველა წარმატებას და გისურვებთ სასიამოვნო ერთკვირიან შემოდგომის არდადეგებს, გელით 9 ნოემბერს, ახალი ენერგიით სავსეებს!

Headmistress's Column

October was a special month for BGS. On October 8th, we attended a reception at the Residence of the British Ambassador, dedicated to the official approval of Pearson Edexcel International Qualifications in Georgia. This was particularly exciting for BGS, as our school was the first in Georgia to introduce Pearson Edexcel programmes.

It was a busy and memorable month for our students and teachers. We celebrated National Teachers' Day; our students received awards from the Kings Olympiad and Mathematics League; our Year 11 students attended an educational visit to the Ilia Chavchavadze Museum; we welcomed a representative from Les Roches and Caucasus Universities; our football team won a friendly match; and our Primary students took part in an inter-house chess tournament. The month concluded with our colorful and fun Fall Marathon.

Congratulations on all these achievements, and I wish everyone a pleasant fall break. We look forward to welcoming you back on November 9th, refreshed and full of energy!

მიღება ბრიტანეთის ელჩის რეზიდენციაში

Reception at the British Ambassador's Residence



წმინდა გიორგის ქართულ-ბრიტანული სკოლის, ბიჯიესის ხელმძღვანელობა 8 ოქტომბერს საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის, გარეთ უორდის, მასპინძლობით გამართულ ოფიციალურ მიღებას დაესწრო. ღონისძიება საქართველოში Pearson Edexcel-ის საერთაშორისო კვალიფიკაციების ოფიციალურ დამტკიცებას მიეძღვნა.

ეს შეხვედრა ბიჯიესისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი სკოლა ქვეყანაში ბრიტანული განათლების პიონერია - პირველი, ვინც Pearson Edexcel-ის პროგრამები დანერგა. ბიჯიესი ერთადერთი სკოლაა საქართველოში, რომელიც Pearson Edexcel iProgress-ის ყველა საფეხურს ახორციელებს,- დაწყებითი განათლებიდან უნივერსიტეტამდე.

საერთაშორისო პროგრამების წარმართვის 23 წელზე მეტი გამოცდილებით, ბიჯიესი კვლავ ინარჩუნებს სწავლების უმაღლეს სტანდარტებს. როგორც Pearson-ის ოფიციალური საგამოცდო ცენტრი, სკოლა მოსწავლეებს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისკენ გზას უხსნის.

მიღებამ კიდევ ერთხელ შეუწყო ხელი ბრიტანეთის საელჩოს, Pearson-ისა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს შორის პარტნიორობისა და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებას. ასევე, დაადასტურა ბიჯიესის უწყვეტი წვლილი ამ პროცესში.

On October 8th, the leadership team of St. George's Georgian-British School BGS attended an official reception hosted by the British Ambassador to Georgia, Gareth Ward. The event celebrated the official approval of Pearson Edexcel International Qualifications in Georgia.

This occasion was particularly significant for BGS, as our school is a pioneer of British education in the country and the first to introduce Pearson Edexcel programmes. BGS is the only school in Georgia to offer every stage of the Pearson Edexcel iProgress pathway, from primary education through to university preparation.

With more than 23 years of experience in delivering international programmes, BGS continues to uphold the highest standards of education. As an official Pearson examination center, the school opens doors for its students to pursue opportunities at leading universities around the world.

The reception further strengthened the partnership between the British Embassy, Pearson and representatives of the education sector, paving the way for future collaboration. It also reaffirmed BGS's longstanding contribution to the development of international education in Georgia.

ოქროს შედეგი კინგსში

Gold Medal Achievement at Kings




ბიჯიესის მოსწავლეებს გასულ სასწავლო წელს კინგსის შეჯიბრებებში მოპოვებული ჯილდოები გადაეცათ.

მეხუთეკლასელმა ელენე გოგოხიამ კინგსის 2025 წლის შემოდგომის სეზონის მათემატიკის ლიგაში ოქროს მედალი მოიპოვა. ეს შედეგი ელენემ შარშან, მეოთხე კლასში ყოფნისას აჩვენა.

მეოთხეკლასელ დავით გრეკოვსა და მეხუთეკლასელ ლუკა კვირიკაძეს კი საზეიმოდ გადაეცათ კინგსის ოლიმპიადის პირველი ხარისხის დიპლომები, დავით გრეკოვი მათემატიკაში დაჯილდოვდა, ლუკა კვირიკაძემ კი პირველი ხარისხის დიპლომები ორ საგანში,- ქართულ ენასა და მათემატიკაში მიიღო.

ვულოცავთ ჩვენს გამარჯვებულებს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს! ვამაყობთ მათი წარმატებით და ვუსურვებთ ახალ მიღწევებს!



BGS students were presented with awards for their achievements in Kings competitions during the previous academic year.

Year 5 student Elene Gogokhia won a gold medal in the Kings Mathematics League Autumn 2025 season. She achieved this excellent result while she was still in Year 4.

Year 4 student David Grekov and Year 5 student Luka Kvirikadze were also awarded First-Degree Diplomas in the Kings Olympiad. David was recognised for his achievement in Mathematics, while Luka received First-Degree Diplomas in two subjects: Georgian Language and Mathematics.

Congratulations to our winners, their parents and their teachers! We are proud of their achievements and wish them continued success.

ლიტერატურის გაკვეთილი მუზეუმში

A Literature Lesson at the Museum





ბიჯიესში სასწავლო პროცესი მხოლოდ საკლასო ოთახებით არ შემოიფარგლება. მასალის უკეთ ათვისების მიზნით, სკოლა მოსწავლეებისთვის მუდმივად აწყობს გასვლით საგანმანათლებლო შეხვედრებს.
მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლა დაიწყეს, ამიტომ მათთვის გასვლითი გაკვეთილი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ—მემორიალურ მუზეუმში მოეწყო.
საგნობრივი ტურის განმავლობაში მოსწავლეები მწერლის მდიდარ მემკვიდრეობას გაეცნენ. მუზეუმის სივრცეში ჩატარებულმა შემეცნებითმა გაკვეთილმა მათ საშუალება მისცა, ახალი სასწავლო თემა ბევრად უფრო საინტერესო და თვალსაჩინო გარემოში აეთვისებინათ.

At BGS, learning extends far beyond the classroom. To help students deepen their understanding of the curriculum, the school regularly organizes educational visits and learning experiences outside the school environment.
As Year 11 students began studying the works of Ilia Chavchavadze, an educational visit was arranged to the Ilia Chavchavadze Literary and Memorial Museum.
During the visit, students explored the writer's rich literary legacy. Having a lesson in the museum allowed them to engage with their new topic in a more meaningful and engaging environment, bringing their classroom learning to life.

Creative Project by Our 8th Graders

მერვეკლასელების შემოქმედებითი პროექტი

იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე, 27 ოქტომბერი, ქართული საბავშვო წიგნის დღედაც აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით ბიჯიესის მერვე კლასის მოსწავლეებმა საინტერესო შემოქმედებითი პროექტი განახორციელეს.

საბუნებისმეტყველო ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა პატარებისთვის ცხოველებზე ორიგინალური მოთხრობები შეთხზეს და თავადვე დააილუსტრირეს. მზა წიგნები მერვეკლასელებმა მეორე კლასის მოსწავლეებს წარუდგინეს.

პროექტის შთაგონების წყაროდ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ იქცა — წიგნი, რომელშიც დიდმა პედაგოგმა საბუნებისმეტყველო ცოდნაზე დაფუძნებული მოთხრობები შეიტანა.







October 27, the birthday of renowned Georgian educator and writer Iakob Gogebashvili, is also celebrated as Children's Book Day. To mark this special occasion, BGS Year 8 students took part in an engaging creative project.

Drawing on their scientific knowledge, students wrote original animal-themed stories for younger children and illustrated the stories themselves. Once completed, the books were presented to Year 2 students.

The project was inspired by Iakob Gogebashvili's The Book of Nature, a collection of stories through which the great educator introduced children to the natural world and scientific knowledge.

საჭადრაკო ტურნირი

23 ოქტომბერს ბიჯიესში III–IV კლასების მოსწავლეებს შორის სახლების საჭადრაკო ტურნირი გაიმართა. პატარა მოჭადრაკეები სახლების სახელით ასპარეზობდნენ.

ტურნირის შედეგები:

⇒ **I ადგილი – იბერები (50 ქულა)**

⇒ **II ადგილი – კოლხები (30 ქულა)**

⇒ **III ადგილი – კელტები და ბრიტები (30-30 ქულა)**

განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოსწავლეები, რომლებმაც ყველა პარტია მოიგეს და თავიანთ სახლებს 50-50 ქულა მოუტანეს: ლილიანა ყარალაშვილი, ნიკოლოზ პატარავა, დავით გრეკოვი, ნიცა ჯაბანაშვილი, ალექსანდრე ნახნაკია, დემეტრე მგელაძე და დავით ჩიტიძე.

ვულოცავთ გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს!



Inter-House Chess Tournament

On October 23rd, BGS hosted an inter-house chess tournament for students in Years 3 and 4. Our young chess players proudly represented their respective Houses.

The results were as follows:

⇒ **First place – Iberians (50 points)**

⇒ **Second place – Colchians (30 points)**

⇒ **Joint third place – Celts and Brits (30 points each)**

Special recognition goes to the students who won every game and earned 50 points each for their Houses: Liliana Karalashvili, Nikoloz Patarava, David Grekov, Nitsa Jabanashvili, Aleksandre Nakhnakia, Demetre Mgeladze and David Chitidze.

Congratulations to the winners and all participants!



Victory on the Football Pitch

გამარჯვება ფეხბურთის მოედანზე

ბიჯიესის IX–XII კლასების მოსწავლეებისგან შედგენილმა საფეხბურთო გუნდმა ამხანაგური შეხვედრა ზალდასტანიშვილის ამერიკულ აკადემიასთან გამართა. საინტერესო და დაძაბული თამაში ჩვენი მოსწავლეების გამარჯვებით, ანგარიშით 3:2 დასრულდა.

ბიჯიესში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტული აქტივობების მხარდაჭერა სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ვულოცავთ ჩვენს გუნდს ამ წარმატებას და ახალ სპორტულ მიღწევებს ვუსურვებთ! წინ, ბიჯიესი!



The BGS football team, made up of students from Years 9–12, played a friendly match against Zaldastanishvili American Academy. It was an exciting and closely contested game, which ended in a 3–2 victory for our students.

At BGS, promoting a healthy lifestyle and encouraging participation in sports are important parts of school life.

Congratulations to our team on this achievement! We look forward to celebrating many more sporting successes. Go, BGS!

Exploring Future Opportunities: Les Roches Visits BGS

მომავლის არჩევანი: Les Roches -ს წარმომადგენელი ბიჯიესში





ბიჯიესში სასტუმრო ბიზნესისა და ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით მსოფლიოში ცნობილი უნივერსიტეტის, Les Roches-ის წარმომადგენელს ვუმასპინძლეთ.
შეხვედრა X, XI და XII კლასის მოსწავლეებთან გაიმართა. წარმომადგენელმა მოსწავლეებს უნივერსიტეტი, მისი პროგრამები და მიღების პროცედურები გააცნო და მათთვის საინტერესო კითხვებს უპასუხა.
მადლობას ვუხდით Les Roches-ს თანამშრომლობისთვის!

BGS welcomed a representative from Les Roches, a world-renowned institution specializing in hospitality, hotel business and tourism management.
The meeting brought together students from Years 10, 11 and 12. The representative introduced students to the university, its academic programmes and admissions procedures, and answered their questions about future study opportunities.
We thank Les Roches for the visit and look forward to continued cooperation!

Fall Marathon

შემოდგომის მარათონი

28 ოქტომბერს ბიჯიესში შემოდგომის მარათონი გაიმართა,- ფერადი, ხალისიანი და ენერგიით სავსე დღე, რომელშიც სკოლის ყველა კლასის მოსწავლე ჩაერთო.

დღის მთავარი მოვლენა სკოლის სტადიონზე გამართული მხიარული სტარტები იყო. ოთხი სახლის წევრები სხვადასხვა სპორტულ დავალებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, სადაც სისწრაფესთან ერთად გუნდური და სამართლიანი თამაშიც იყო საჭირო. მოსწავლეები თანაგუნდელებს გულმხურვალედ გულშემატკივრობდნენ. იბერების, კოლხების, ბრიტებისა და კელტების ფერებმა სკოლის ეზო ნამდვილ შემოდგომის პალიტრად აქცია.

მოეწყო გამოფენაც. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა თიხისგან შემოდგომის ფოთლები გამოძერწეს და ნაირფერად მოხატეს.

ასეთი დღეები მოსწავლეებს გუნდურ სულისკვეთებას უღვივებს, სახლების წევრებს შორის მეგობრობას აძლიერებს და სასკოლო ცხოვრებას კიდევ უფრო ფერადსა და დასამახსოვრებელს ხდის.













Fall Marathon

შემოდგომის მარათონი

On October 28th, BGS hosted its Fall Marathon, a colorful, joyful and energetic day that brought together students from every year group.

The highlight of the day was a series of fun team challenges on the school stadium. Members of the four Houses competed in a range of sporting activities that required not only speed and agility but also teamwork and fair play. Students enthusiastically cheered on their teammates, while the colors of Iberians, Colchians, Brits and Celts transformed the school grounds into a vibrant autumn palette.

The event also featured an exhibition of autumn-themed artwork. Primary students created and painted colorful autumn leaves out of clay, showcasing their creativity and artistic skills.

Days like these strengthen teamwork, foster friendships across the Houses and make school life even more colorful and memorable.








Autumn Celebration in the Preschool

შემოდგომის დღესასწაული სკოლამდელ საფეხურზე

ბიჯიესის სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებმა შემოდგომის დღესასწაული აღნიშნეს. საყვარელი გმირების კოსტიუმებში გამოწყობილმა პატარებმა სხვადასხვა აქტივობა წარმოადგინეს.

მხიარულმა სიმღერებმა, ლექსებმა, ცეკვამ, თამაშებმა და ხელნაკეთმა ნივთებმა პატარებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები აჩუქა!

BGS preschoolers celebrated the arrival of autumn with a joyful and colourful event. Dressed as their favourite characters, the little ones took part in a variety of activities and performances.
Cheerful songs, poems, dances, games and handmade creations made the celebration truly special, filling the day with joy and creating wonderful memories for our youngest learners!










უსაფრთხოება პირველ ადგილზეა

Safety First



ბიჯიესში ევაკუაციის სწავლება გაიმართა. მანამდე კი მოსწავლეებთან შეხვედრა შედგა სადაც ისინი ევაკუაციის წესებს გაეცნენ: განგაშის ზარის შემდეგ ყველა ქმედების შეწყვეტა, მასწავლებლის უკან ჩამწკრივება, დისტანციის დაცვა და მშვიდად გადაადგილება.

განგაშის ზარის შემდეგ მოსწავლეებმა მასწავლებლების ხელმძღვანელობით, მშვიდად და ორგანიზებულად დატოვეს შენობა და რეკორდულ დროში: 2 წუთსა და 16 წამში სკოლის სტადიონზე გავიდნენ. უმცროსი კლასების მოსწავლეები უსაფრთხოებისთვის თოკით, მასწავლებლების თანხლებით გადაადგილდებოდნენ. სტადიონზე თითოეული კლასი თავის დამრიგებელთან ერთად ჩამწკრივდა.

ასეთი სწავლებები მოსწავლეებს ეხმარება, საგანგებო სიტუაციაში სწორად და მშვიდად იმოქმედონ.

BGS conducted an evacuation drill to ensure that students understand how to respond safely and calmly in an emergency. Before the exercise, students attended a briefing on evacuation procedures, including stopping all activities when the alarm sounds, lining up behind their teacher, maintaining a safe distance and moving calmly.

When the alarm sounded, students followed their teachers' instructions and evacuated the building in an orderly manner, reaching the school stadium in a record time of 2 minutes and 16 seconds. For additional safety, younger students were guided using a safety rope while accompanied by their teachers. Once on the stadium, each class lined up with its class teacher.

Regular drills like these help students develop the knowledge and confidence to respond appropriately and calmly in emergency situations.

მასწავლებელთა ეროვნული დღე

National Teachers' Day

27 ოქტომბერი, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე, საქართველოში მასწავლებელთა ეროვნული დღეა. ბიჯიესში ეს დღე ტრადიციულად აღვნიშნეთ,- ჩვენს პედაგოგებს სკოლის ლოგოთი ბრენდირებული სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

მადლობას ვუხდით ბიჯიესის მასწავლებლებს პროფესიონალიზმისთვის, ერთგულებისა და სითბოსთვის, რომლითაც ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენს მოსწავლეებზე.







October 27th, the birthday of renowned Georgian educator Iakob Gogebashvili, is celebrated as National Teachers' Day in Georgia. At BGS, we marked this special occasion by presenting our teachers with thoughtful gifts branded with the school logo.

We are deeply grateful to our teachers for their professionalism, dedication and the warmth with which they care for and support our students every day. Their commitment makes a lasting difference in the lives of our school community.

მასწავლებლების შეხვედრები მშობლებთან

Parent–Teacher Meetings

ოქტომბერში ბიჯიესის მასწავლებლები მშობლებს ინდივიდუალურად შეხვდნენ. შეხვედრებზე განიხილეს თითოეული მოსწავლის აკადემიური პროგრესი, სასწავლო წლის პირველი თვეების შედეგები და შემდგომი ნაბიჯები.

მასწავლებლებისა და მშობლების მჭიდრო თანამშრომლობა ბიჯიესისთვის მოსწავლეთა წარმატების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია.

Throughout October, BGS teachers met individually with parents to discuss each student's academic progress, review achievements from the first months of the school year and identify the next steps in their learning journey.
At BGS, we believe that close collaboration between teachers and parents is one of the foundations of student success. By working together, we can ensure that every student receives the guidance and support they need to reach their full potential.




წმ. გიორგის ქართული - ბრიტანული სკოლა
მ.ალექსიძის II შეს. 6, საბურთალო, თბილისი
ტ. 995 322 60 99 89
დირექტორი: ეკა კვაჭანტირაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თავაძე

The St. George`s Georgian - British School
M.Aleksidze II Lane 6, Saburtalo, Tbilisi
Tel. 995 322 60 99 89
Headmistress: Eka Kvachantiradze
Chairman of the Board: George Tavadze

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi



School Mission

The mission of our school is to nurture thoughtful people who are active participants in the progressive society of the modern world.

სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.